შპს კერძო სკოლა „ივერონი“

სამოქმედო გეგმის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023-2024 სასწავლო წელი

2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში შედგა სამოქმედო გეგმა, რომელშიც დასახული იყო კონკრეტული ამოცანები და აქტივობები. ის შემუშავდა გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე და გამომდინარეობს ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. ამასთან დაკავშირებით მოხდა რესურსების იდენტიფიცირება, დადგინდა განხორციელების ვადები და თითოეულ საკითხთან დაკავშირებით განისაზღვრნენ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

I სემესტრის დასრულების შემდეგ განხორციელდა სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასება, რომელმაც დაგვანახა შესრულებული აქტივობები და ის საჭიროებები, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლის სტრატეგიული გეგმის განხორციელების როგორც ერთ-ერთი ეტაპი. ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე, I სემესტრის დასასრულსა და II სემესტრის დასაწყისში მოხდა **ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის გადახედვა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება**. აქედან გამომდინარე ბუნებრივია შეიცვალა სამოქმედო გეგმაც - ახლებურად ჩამოყალიბდა სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი აქტივობები.

სტრატეგიული მიზანი 1. სწავლა - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

სამწუხაროდ, წელს ვერ მოხერხდა სკოლის დაფინანსებით მასწ-თა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც სამომავლოდ აუცილებლად გასათვალისწინებელია. თუმცა სტატუსით უფროს მასწავლებლებს გავლილი აქვთ მასწავლების სახლის მიერ ორგაზებით ჩატარებული ტრენინგები და მათზე გაცემულია ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები. გარდა ამისა, მასწავლებლები სოც. ქსელების მეშვეობით სისტემატურად ეცნობოდნენ იმ სიახლეებს, რასაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო გვაწვდის პერიოდულად. სასწავლო წლის მანძლზე მასწავლებლებს დირექცია აწვდიდა ასევე იმ სიახლეებს, რაც განათლების ხარისხის ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე იყო მოწოდებული.

აქედან გამომდინარე, საგნობრივი კათედრებზე II სემესტრში გაგრძელდა კურიკულუმებზე მუშაობა და საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა მათი მოდიფიცირებაც. თითოეულმა მასწავლებელმა ესგ-სა და საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით დახვეწა და განავითარა კურიკულუმი, რომელზე დაყრდნობითაც წარმართა თავისი შემდგომი საქმიანობა;

საგნობრივი კათედრების მიერ სისტემატურად ხდება მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების სისტემის განხილვა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა შედეგების პროგრესზე. ამ მხრივ მასწავლებელთა მხრიდან ყოველთვისაა საჭირო მუშაობა, რათა მივიღოთ ისეთი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც სრულად იქნება მორგებული მოსწავლეთა პროგრესულ მაჩვენებელზე;
ვინაიდან, თანამედროვე ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში, ამიტომ მასწავლებლები სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებდნენ საგნობრივი კათედრების მიერ დამატებითი რესურსის მიზნით შერჩეულ შემეცნებითი ხასიათის ელექტრონულ რესურსებსა და სხვადასხვა პლატფორმებს.

აღსანიშნავია ის, რომ სასწავლო წლის მანძილზე ფიზიკის მასწავლებელი გახდა: 1- სასწ. ფიზიკის მასწავლებელთა ასოციაციის წევრი; 2- STEM ინოვატორთა ასოციაციის წევრი; 3- გლობალური განათლების ასოციაციის წევრი. ის ესწრებოდა ამ ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს. (მასწავლებელმა წარმოგვიდგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია);
II სემესტრში მშობელთა სათათბიროს აქტიურობა ნაკლებათ შეინიშნებოდა, თუმცა გამოკითხვის საფუძველზე მათი გააქტიურების წინაპირობა შეინიშნება; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ყოველთვის მზადაა მოისმინოს და გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები, სიახლეები და მითითებები, რომლებიც სახელდება მშობელთა კრებებზე და სათათბიროზე. სკოლის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მშობელთა კითხვარების შევსება, რომელთა ანალიზიც გვეხმარება სასკოლო საქმიანობის უკეთ წარმართვაში.

სტრატეგიული მიზანი 2. სკოლის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
სკოლის ინფრასტრუქტურა ყოველთვის მოითხოვს პერიოდულ განახლებას (სასწ. წლის ბოლოს ან სასწ. წლის დასაწყისში). ამ ეტაპზე გამოიკვეთა სკოლის სახურავის, რამდენიმე საკლასო ოთახისა და დერეფნის გარემონტება ახალი სასწავლო წლისათვის; სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთი წლის მანძლზე სკოლას დაგეგმილი აქვს სრული ადაპტირება - დამონტაჟდება II სართულზე ასასვლელი პანდუსი.

სკოლის მატერიალური რესურსის კუთხით, II სემესტრში განახლდა 6 კომპიუტერი, ხოლო 1 კომპიუტერის სკოლამ საჩუქრად მიიღო. კომპიუტერული ტექნიკის (ასევე პროექტორის) შეძენა დაგეგმილია სასწ. წლის დასრულების შემდეგ;

ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სკოლაში შექმნილია ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. კერძოდ, მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავს უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც შესვენების დროს თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა გადაადგილებას, კლასის დამრიგებლები კი მორიგეობენ საკლასო ოთახებში. ყოველივე ეს ჯეროვნად იყო შესრულებული და ადგილი არ ჰქონია რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევებს. გარდა ამისა, სკოლის დერეფნებსა და გარე პრიმეტრზე განლაგებული ვიდეოკამერები, რაც დამატებით უზრუნველყოფს ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოებას.

სტრატეგიული მიზანი 3. სკოლის მართვასთან დაკავშირებული მიდგომების სრულყოფა

სკოლის მმართველობაში დემოკრატიული პრონციპების გაძლიერების მიზნით, სკოლაში შექმნილია მშბელთა სათატბირო და მოსწავლეთა

საინიციატივო ჯგუფი, რომელთა მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში. II სემესტრში მათი აქტიურობა ნაკლებად შეინიშნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ სასწავლო წელს ისინი კვლავ გააქტიურდებიან და ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ. სკოლის მართვაში ციფრული ინსტრუმენტების დანერგვის კუთხით ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს მოლაპარაკებები schoolbook-თან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაგეგმილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონლი სისტემის შესყიდვა, რათა 2024 წლის 01 სექტემბრისათვის სკოლამ შეძლოს ელექტრონული საქმისწარმოების განხორციელება.

სტრატეგიული მიზანი 4. ადამიანური რესურსების მართვის სისტემების სრულყოფა

კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, ვაკანტური საათების შესავსებად, II სემესტრში რამდენჯერმე https://teacherjobs.ge/ პლატფორმაზე

გამოცხადდა ღია კონკურსი, რის შემდეგაც სკოლაში დასაქმდა კვალიფიციური კადრი. კონკურსის გამოცხადება დაგეგმილია ასევე აგვისტოს თვეში.

სკოლა ზრუნავს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს და ხელმძღვანელობს შემდეგით:
1.პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია
2.პერსონალის შეფასების შედეგები
3.შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციები
4.პერსონალის განვითარების გეგმები დაფუძნებული საჭიროებათა კვლევის შედეგებზე
5.პროფესიული განვითარების გეგმის შედეგები
6. კარიერული წინსვლის მაჩვენებლები

სკოლაში არსებობს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები - სასწავლო წლის მანძილზე გამორჩეული და თავდადებული მუშაობისათვის, მოსწავლეთა STEM -ოლიმპიადასა და STEM- აქტივობებში ჩართულობისათვის (მათ შორის იყო მოსწავლეთა ვიზიტი მასწ. სახლში არსებულ ლაბორატორიაში), საკუთარ პედაგოგიურ წინსვლაზე ზრუნვისათვის, სასწავლო წლის ბოლოს ფიზიკის მასწავლებელს გამოეცხადა მადლობა და გადაეცა ფულადი ჯილდო.

სტრატეგიული მინაზი 5. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესება

სკოლაში გამუდმებით ხდება სასწავლო პროცესში ინკლუზიური/დიფერენცირებული მიდგომების დახვეწა. საგნობრივი კათედრები და კათედრის წევრები აცხადენებ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავონ ისგ-ები და ამასთან დაკავშირებით მათთან ჩაატარონ შიდა ტრენინგები. დიფერენცირებული მიდგომები აშკარაა მასწავლებელთა მხრიდან შემაჯამებელი დავალებების შედგენის შემთხვევებში.

გარდა ამისა, სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში, თუ ის საჭიროებს დიფერენცირებულ მიდგომას, მასწავლებლები მზად არიან, მშობლების მომართვის შემთხვევაში გაუწიონ მათ დახმარება ნებისმიერ საგანში და შეადგინონ მოდიფიცირებული საგნობრივი პროგრამები;

სასწავლო წლის დასასრულს, სკოლაში განხორციელდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რომლის ანალიზის საფუძველზეც გამოიკვეთა გარკვეული საჭიროებები. კერძოდ, მშობლის კმაყოფილების კითხვარში კითხვაზე: რას შეცვლიდით სკოლის ცხოვრებაში? მივიღეთ შემდეგი პასუხები: არაფერს; მეტი თანამედროვე ელემენტები; არვიცი; სასკოლო ფორმა მაღალ კლასებში ნებისმიერი სახით; მეტი კლასგარეშე აქტივობა; მუსიკა შესვენებაზე; კითხვაზე, - აქვს თუ არა თქვენს ბავშვს სკოლაში სიარულთან დაკავშირებული ამა თუ იმ სახის ღელვა? - პასუხად მივიღეთ - არა. ერთადერთ შემთხვევაში აღნიშნა მშობელმა, რომ ბავშვს ეშინია ქუჩის ძაღლების და ამის გამო იძულებულია თვითონ მოაცილოს სკოლის კარამდე.: ასევე იყო სხვა შინაარსის კითხვები, რომელთა პასუხებსაც სკოლა შეძლებისდაგვარად, აუცილებლად გაითვალისწინებს. ძირითადად კითხვარებში დაფიქსირდა დადებითი შეფასებები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სკოლაში მოსაგვარებელი არაფერია.

დამატებითი სერვისების განვითარების კუთხით, მომავალი სასწავლო წლისათვის დაგეგმილია ჩინური ენის სწავლება საბაზო საფეხური მოსწავლეებისათვის, და კომპიუტერული ტექნოლოგიების კუთხით სიახლეების შეთავაზება. ორივე ამ კუთხით მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რაც სექტემბრისთვის მოგვარებული იქნება. მოსწავლეთა კითხვარებიდან გამოიკვეთა, რომ მათი სურვილია რაც შეიძლება მეტი გასვლითი ღონისძიებების დაგეგმვა. რა თქმა უნდა ესაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის დროს.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების მხარდაჭერის მიზნით, II სემესტრში საბაზო და საშუალო საფეხურის სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებთან შედგა საუბრები მოსწავლეთათვის საინტერესო და სასარგებლო თემატიკაზე. გარდა ამისა, ჩვენი სკოლის წლევანდელმა კურსდამთავრებულმა, ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან გამართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ მოხალისეობრივ პროექტების - Erasmus+ და Erasmus. მან VIII-IX,X კლასების მოსწავლეებს გააცნო წესები და პირობები, თუ როგორ უნდა შეივსოს აპლიკაცია. ასევე ესაუბრა ასაკის შესაბამის კრიტერიუმებზე და მიაწოდა ინფრომაცია პროგრამის ფარგლებში არსებული დაფინანსების შესახებ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შესრულდა დამაკმაყოფილებლად, თუმცა ალბათ შეიძლებოდა მეტის გაკეთებაც. ახალი სასწავლო წლისათვის საჭიროა უკეთესი მომზადება, რაც სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს.

სკოლის აკადემიური დირექტორი:  /მარინე ბექურიძე/